საქართველოს კონტროლის პალატის
თემატური აუდიტის

აქტი

№ 9/00 "8" აპრილი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ი. ბუსკილია/ბოცირიძე
"8" აპრილი 2010 წელი

ეგზ.N2

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საწარმოთა მართვის სააგენტოს" მიერ სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ ფუნქციებზე 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1ოქტომბრამდე პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების კანონზომიერების თემატური აუდიტის შედეგების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

I. შესავალი..... გვ.2
II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები..... გვ.3
III. ძირითადი ტექსტი..... გვ.5

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96
ტელ.: (+995 32) 438 438, ფაქსი: (+995 32) 438 136 www.control.ge

1. საწარმოებში სახელმწიფო წილის, აქციების აღრიცხვისა და აღნიშნული მონაცემების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მიწოდების მდგომარეობა.....გვ.5

2. საწარმოების განვითარების ბიზნეს-გეგმების დამტკიცების მდგომარეობა.....გვ. 10

3. შერჩევით შესწავლილი იქნას სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონზომიერება შემდეგზე:

ა) საწარმოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება და საწარმოებში ინვესტიციების დაბანდება;

ბ) საწარმოების მიერ ფილიალების დაფუძნება-ლიკვიდაცია;

გ) საწარმოების მიერ აქციებისა და წილების (პაის) შესყიდვა, საწარმოთა წილობრივი მონაწილეობით კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნა;

დ) საწარმოების წმინდა მოგების განაწილება;

ე) საწარმოების გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა, ლიკვიდაცია და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე წინადადებების განხილვა;

ვ) საწარმოების ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა, ჩამოწერა, რეალიზაცია, გირაოთი, იპოთეკით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმებით დატვირთვა..... გვ.16

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, მასზე შენიშვნების და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა და წესი..... გვ.24

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები გვ.24

I. შესავალი

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 12 ოქტომბრის და 6 ნოემბრის N121/43 და N139/43 ბრძანებები.

აუდიტის ჯგუფის შემადგენლობა: საქართველოს კონტროლის პალატის მთავარი აუდიტორები თეიმურაზ კილაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ავთანდილ ვასაძე, კონტროლის პალატის აუდიტორი ქეთევან ზოზიაშვილი.

აუდიტის ობიექტი: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საწარმოთა მართვის სააგენტო, იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, მე-4 სართული.

აუდიტის პერიოდი: 2008 წლის პირველი იანვრიდან 2009 წლის პირველ ოქტომბრამდე.

აუდიტის ვადა: აუდიტი დაიწყო 2009 წლის 12 ოქტომბერს და დამთავრდა 10 დეკემბერს.

პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

შემოკლებანი:

1. სსიპ – „საწარმოთა მართვის სააგენტო" – სააგენტო
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - სამინისტრო
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. სააგენტოს მიერ არასათანადოდ არის განხორციელებული საწარმოთა განვითარების ბიზნეს-გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი: საწარმოების მიერ სააგენტოში ბიზნეს-გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალური ინფორმაციები მასიურად არ არის წარმოდგენილი. ასევე, 2008 წლის ფინანსური ანგარიშები, 2009 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით, 1426 საწარმოდან სააგენტოში არ წარუდგენია ან წარადგინა არასრულყოფილად 506-მა საწარმომ (საწარმოთა მიერ სააგენტოში განვლილი წლის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა უნდა ხდებოდეს ყოველი მიმდინარე წლის მარტი-აპრილის თვეებში). შესაბამისად სააგენტოს ამ საწარმოთა 2008 წლის სამეწარმეო საქმიანობის შედეგების შესახებ

ინფორმაცია არ გააჩნია, ან გააჩნია არასრულყოფილად. სააგენტოს მიერ ამ საწარმოების ხელმძღვანელების მიმართ არანაირი ღონისძიებანი არ გატარებულა გვ.6

2. საწარმოების მიერ საქმიანობა მეტწილად წარმოებდა პარტნიორთან (სააგენტოსთან) შეუთანხმებლად. შესაბამისად არ იყო განსაზღვრული და/ან დაგვიანებით ისაზღვრებოდა წლის განმავლობაში მისაღები მთლიანი შემოსავლის და კონკრეტული სახის ხარჯების ოდენობები - 2008 წლის მონაცემები-სრული კრებსითი რაოდენობა სააგენტოში დაფიქსირებული არ არის, ხოლო 2009 წელს დამტკიცებული იქნა მხოლოდ 258 საწარმოს ბიზნეს-გეგმა და 950 საწარმოს 2009 წლის ბიზნეს-გეგმები 2009 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობითაც არ ჰქონდა წარმოდგენილი. წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმების დიდი უმრავლესობა სააგენტოს მიერ დამტკიცებულია 3-4 თვისა და არცთუისე იშვიათად 6-7 თვის დაგვიანებით, რაც გამოწვეულია საწარმოების მიერ ბიზნეს-გეგმების დაგვიანებით წარდგენით და ვადის დაცვით წარდგენილი ბიზნეს-გეგმების გვიან დამტკიცებით, რაც სააგენტოს მიერ მისი ფუნქციების არასათანადოდ შესრულებაზე მიუთითებს..... გვ.10

3. სააგენტოს მიერ ბიზნეს-გეგმების დამტკიცება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ფორმალურად – შესაბამისი განხილვისა და ანალიზის გარეშე და ასეთი პროექტები სააგენტოს მიერ დამტკიცებულია ყოველგვარი შენიშვნების გარეშე..... გვ.11

4. სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი 1426 საწარმოდან 2008 წელს მომგებიანად დაფიქსირებულია 317 საწარმო, რომელთა საერთო მოგებამ 116.75 მლნ. ლარი შეადგინა. მათ შორის შედარებით მაღალი მოგების მქონე 15 საწარმოს მთლიანი მოგებაა 114.77 მლნ.ლარი (მთლიანი მოგების 98.3%). შედეგად, დანარჩენი 302 „მომგებიანი" საწარმოს საერთო მოგება შეადგენს 1.98 მლნ. ლარს (მთლიანი მოგების 1.7%), ანუ საშუალოდ თითოეული მათგანის წლიური მოგებაა 6.5 ათასი ლარი..... გვ.7

5. სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დიდი ნაწილი - 2008 წლის შედეგებით 595 საწარმო, არამომგებიანია, ხოლო 506 საწარმოს მოგება-ზარალის შესახებ სააგენტოს ინფორმაცია არ გააჩნია, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ საგენტოს მიერ განხილულ უნდა იქნას ამ საწარმოთა შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი და შესაბამისი წინადადებებით (ოპტიმიზაცია, ლიკვიდაცია, პრივატიზაცია და ა.შ.) მიმართოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს..... გვ.6

6. რიგი საწარმოების როგორც მთლიანი, ისე კონკრეტული სახეობის ხარჯები ფაქტობრივად გაწეულია მეტი ოდენობით, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო ბიზნეს-გეგმის პარამეტრებით. არცერთ ამ შემთხვევაში ბიზნეს-გეგმები კორექტირებული არ არის. სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ამ სხვაობების გამომწვევი მიზეზების ანალიზი, რაც გათვალისწინებული იქნებოდა შემდგომი წლის ბიზნეს-გეგმების შედგენა-დამტკიცებისას..... გვ.10

7. რიგ შემთხვევებში საწარმოთა ბიზნეს-გეგმებსა და სხვადასხვა დოკუმენტებში დაფიქსირებული საწესდებო კაპიტალის მონაცემები არ შეესაბამებიან ერთმანეთს. ასევე, სააგენტო ვერ ფლობს ზუსტ ინფორმაციას რიგი საწარმოების საწესდებო კაპიტალის შემადგენლობის შესახებ. სააგენტოს მიერ არ არის გატარებული ღონისძიებები საწესდებო კაპიტალის რეალური ოდენობისა და შემადგენლობის დადგენის მიზნით..... გვ.11

8. 2009 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით სააგენტოსა (როგორც აქციონერთან და პარტნიორთან) და საწარმოთა დირექტორებს შორის არ გაფორმებულა არცერთი ხელშეკრულება, რითაც ვალდებულებითი და სამართლებლივი ურთიერთობები უნდა დარეგულირებულიყო საწარმოების დირექტორებთან..... გვ.15

9. სააგენტოს მიერ საწარმოების შერწყმაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა შესაბამისი ანალიზისა და მიზანშეწონილობის დასაბუთების გარეშე, რამაც ერთ-ერთი საწარმოს ბიზნეს ინტერესების იგნორირება გამოიწვია..... გვ.18

10. სააგენტო ჯეროვნად არ ახორციელებდა მონიტორინგს საწარმოთა მიერ კანონმდებლობის შესაბამისად ფართების ივჯარით გაცემასა და აუქციონის/კონკურსის პროცედურების ჩატარებაზე, რადგანაც რიგ საწარმოებში ფართები ივჯარით გაცემული იყო სააგენტოს თანხმობის გარეშე და სააგენტოს თანხმობით განსაზღვრული ფასის გაუთვალისწინებლად; ზოგ შემთხვევაში ფართები გაცემულია პირდაპირი ივჯარით და არა აუქციონის ან კონკურსის ფორმით და სააგენტო არ ფლობდა ინფორმაციას საწარმოების მიერ აუქციონის/კონკურსის ჩატარების შესახებ. გვ.21

III. ძირითადი ტექსტი

1. საწარმოებში სახელმწიფო წილის, აქციების აღრიცხვისა და აღნიშნული მონაცემების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის

მიწოდების მდგომარეობა

1.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფ საწარმოებში სახელმწიფო წილისა და აქციების აღრიცხვას აწარმოებს ფინანსური ანალიზის ჯგუფი, რომელიც სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. დებულების მოთხოვნით, 2009 წლის სექტემბრის მდგომარეობით არსებული მონაცემები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მიწოდებულია ელექტრონული ვერსიის სახით სააგენტოს N36-535/2-9 წერილით. საწარმოთა შესახებ სააგენტოს მიერ წარმოებული ელექტრონული ვერსია საწარმოების დასახელების, სამართლებლივი ფორმისა და რეგისტრაციის იურიდიული მისამართის გარდა შეიცავს შემდეგ ინფორმაციებს: სახელმწიფო წილის ოდენობას, საწესდებო კაპიტალის ოდენობას ლარებში, 2008 წლის ფინანსურ შედეგებს, 2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ოდენობასა და ა.შ..

2009 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" მმართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული, 2438.59 მლნ. ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალის მქონე საწარმოების რაოდენობა შეადგენს 1426-ს, საიდანაც სააგენტო პირდაპირ მართვას ახორციელებს 371 -ზე, ხოლო არაპირდაპირ მართვას (მართვას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების 8 რეგიონალური სამმართველო, სააგენტოს მიერ გაცემული რწმუნებების საფუძველზე) 1055-ზე. 2008 წლის ფინანსური ანგარიში სააგენტოში წარდგენილი აქვს 694 საწარმოს, არ ფუნქციონირებს და შესაბამისად ფინანსური ანგარიშები არ წარუდგენია 218 საწარმოს, 2009 წელს შეიქმნა 8 საწარმო და ინფორმაცია არ წარუდგენია, ან წარადგინა არასრულყოფილად 506-მა საწარმომ (შესაბამისად სააგენტოს ამ საწარმოთა 2008 წლის სამეწარმეო საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია, ან გააჩნია არასრულყოფილად) და ეს მაშინ, როდესაც საწარმოთა მიერ სააგენტოში განვლილი წლის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა უნდა მომხდარიყო მიმდინარე წლის მარტი-აპრილის თვეებში[1].

[1] არ არის შესრულებული „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში განვითარების ბიზნეს-გეგმების პროექტების შემუშავების, დამტკიცების და შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის

აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სააგენტოს წარმომადგენელს, სადაც განმარტებულია, რომ უხარისხოდ (არასრულყოფილად) შედგენილი ფინანსური ანგარიშები მიღებულია არაპირდაპირ მართვაში მყოფი საწარმოებიდან. ანგარიშების შედგენაში დაშვებული უზუსტობები და ცდომილებები კი გამოწვეულია ამ საწარმოების პასუხისმგებელი პირების დაბალი კვალიფიკაციით. რაც შეეხება ინფორმაციის სრულყოფას, მის მიერ მითითებულია, რომ სააგენტოს მიერ ამჟამად უკვე დამთავრებულია ყველა ასეთი დოკუმენტის შესწავლა და დაწყებულია მუშაობა ხარვეზების აღმოსაფხვრელად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული საწარმოების ხელმძღვანელობის მიმართ არანაირი ღონისძიებანი გატარებული არ ყოფილა.

სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნული 1426 საწარმოდან 2008 წელს მომგებიანად დაფიქსირებულია 317 საწარმო, საიდანაც პირდაპირ მართვაშია 120 საწარმო, ხოლო არაპირდაპირ მართვაში 197. ზარალით სამეურნეო წელი დაასრულა 239-მა საწარმომ, ხოლო ნულოვანი მოგება აქვს 138 საწარმოს. ამ საწარმოების საწესდებო კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯების, მოგება-ზარალისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მონაცემთა შესახებ იხ. ცხრილი:

მლნ. ლარი

N	საწარმოები	საწესდებო კაპიტალი	შემოსავალი	ხარჯი	მოგება	ზარალი	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	მ.შ. საბიუჯეტო დავალიანება
	სულ: 1426	***2438.6***					***1072.24***	***1436.13***	***376.1***
	მათ შორის:								
1	138	ნ ულ ოვ ან ი მ ოგ ებ ა							
2	***317 (მომგებიანი)***	***1300.3***	***721.14***	***604.4***	***116.8***		***244.77***	***306.56***	***130.28***
	მათ შორის:								
	შპს "საქართველოს რკინიგზა"	933.7			105.2				
	5 მომგებიანი*	228.3			8.21				
	9 შედარებით მომგებიანი**	69.5			1.36				
	302 „მომგებიანი"	68.8			1.98				
3	***239 (ზარალიანი)***	***724.7***	***104.12***	***200.8***		***96.6***	***234.13***	***350.36***	***116.83***
	მათ შორის:								
	16					92.94			

საქმეში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის N1-3/114 გრძანების დანართის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

	ზარალიანი***								
	223 ზარალიანი					3.7			
4	218	არ ფუნქციონირებს							
5	8	შეიქმნა 2009 წელს							
6	506	ინფორმაცია არ წარმოუდგენია ან წარმოადგინა არასრულყოფილად							

* მოგების მაღალი მაჩვენებლის მქონე 5 საწარმო:

1. შპს „ენგურგესი“ - მოგება 3.96 მლნ. ლარი;
2. შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ – მოგება 2.44 მლნ. ლარი;
3. სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ - მოგება 0.88 მლნ. ლარი;
4. სს „მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო“ - მოგება 0.58 მლნ. ლარი;
5. სს „ქართული ფილმი“ - მოგება 0.35 მლნ. ლარი;

**მოგების შედარებით მაღალი მაჩვენებლის მქონე 9 საწარმო: შპს –ები - „გეო-ტეკი“, „თბილისის რელსშემდუღებელი ქარხანა“, „მედეა“, „გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“, „რკინა-ბეტონის შპალის ქარხანა“, „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“; სს-ები – „აკად. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“, „ტრავმატოლოგი“, „ხაშურის მრავალპროფილიანი საავადმყოფო“);

*** 16 ზარალიანი საწარმო – სს-ები: „საქართველოს ნავთობსადენების კომპანია“, „ქართლი გაზი“, „საქტრანსგაზმრეწვი“, „საქართველოს ფოსტა“, „გუდაური“; შპს-ები: „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“, „საქავტოტრანსი“, „საქართველოს საზღვაო სანაოსნო“, „საქგეოსერვისი“, „საქაერონავიგაცია“, „აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“, „სერვისი-7“, „კოლხეთი-მ“, „ალაზანი-მ“, „მტკვარი-მ“, „სიონი-მ“.

ცხრილში დაფიქსირებული მონაცემები დიაგრამის სახით იძლევა შემდეგ სურათს:



ცხრილიდან ჩანს, რომ ზარალის მონაცემი არაზუსტია (200.76-104.12=96.64) – გაზრდილია 34.6 ათასი ლარით, რაც ფინანსური ანალიზის ჯგუფის უფროსის მიერ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით გამოწვეულია იმით, რომ არაპირდაპირ მართვაში მყოფი რიგი ზარალიანი საწარმოების მონაცემები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოების მიერ მოწოდებულია არასწორად და ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი საწარმოებიდან ზოგიერთი მათგანის მოგების მაჩვენებელი მართალია მაღალია, მაგრამ არც თუ ისე სასურველი მათ შემოსავალთან მიმართებაში. მაგალითად:

- შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 2008 წლის შემოსავალი 175.76 მლნ. ლარია, ხოლო წლიური მოგება 2.44 მლნ. ლარი (შემოსავლის 1.4%);

- სს „აკად. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ შემოსავალი 19865.2 ათასი ლარია, ხოლო წლიური მოგება 188.8 ათასი ლარი (შემოსავლის 0.95%);

- შპს „გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ შემოსავალი 8 737.5 ათასი ლარია, ხოლო წლიური მოგება 135.8 ათასი ლარი (შემოსავლის 1.6%);
- შპს „რკინა-ბეტონის შპალის ქარხნის“ შემოსავალი 5 036.5 ათასი ლარია, ხოლო წლიური მოგება 132.5 ათასი ლარი (შემოსავლის 2.6%) და ა.შ.

სულ მომგებიან 317 საწარმოს შორის მხოლოდ 40-ია ისეთი, რომელთა წლიური მოგება წლიური შემოსავლის 10%-ზე მეტია. მათ შორის შპს „საქართველოს რკინიგზის“ წლიური მოგება შემოსავლის 30.8%-ს შეადგენს, ხოლო დანარჩენი 39 საწარმოს საერთო წლიური შემოსავალი 44.16 მლნ.ლარს, მოგება კი 5.33 მლნ.ლარს შეადგენს (შემოსავლის 12%).

ყოველივე ზემოაღნიშნულით ჩანს, რომ სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დიდი ნაწილი - 2008 წლის შედეგებით 595 საწარმო, არამომგებიანია, ხოლო 506 საწარმოს მოგება-ზარალის შესახებ სააგენტოს ინფორმაცია არ გააჩნია, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ საგენტოს მიერ განხილულ უნდა იქნას ამ საწარმოთა შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი და შესაბამისი წინადადებებით (ოპტიმიზაცია, ლიკვიდაცია და ა.შ.) მიმართოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

2. საწარმოების განვითარების ბიზნეს-გეგმების დამტკიცების მდგომარეობა

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საგენტოს დებულება დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის N1-1/550 ბრძანებით. ამ დებულების მე-3 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა საწარმოების ბიზნეს-გეგმების დამტკიცებაზე გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული რეგულირდება „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში განვითარების ბიზნეს-გეგმების პროექტების შემუშავების, დამტკიცების და შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის საქმეში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის N1-3/114 ბრძანებით.

დებულებისა და აღნიშნული ბრძანების მოთხოვნები სააგენტოს მიერ არასათანადოდ არის შესრულებული:

- 1426 საწარმოდან 2009 წელს დამტკიცებული იქნა 258 ბიზნეს-გეგმა. ამ საწარმოებიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2009 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს მხოლოდ 218 და შესაბამისად 950 საწარმოს 2009 წლის ბიზნეს-გეგმები არ წარუდგენია, ხოლო 2008 წლის მონაცემები (კრებსითი რაოდენობა) სააგენტოში დაფიქსირებული არ არის.[2]

- საწარმოების მიერ წარდგენილი მიმდინარე წლის ბიზნეს-გეგმების პროექტების დამტკიცება უნდა ხდებოდეს ამავე წლის პირველ კვარტალში, თუმცა წარდგენილი ბიზნეს-გეგმების დიდი უმრავლესობა სააგენტოს მიერ დამტკიცებულია 3-4 თვისა და არცთუისე იშვიათად 6-7 თვის დაგვიანებით. ამ ვადის დაუცველობის მიზეზებს წარმოადგენს საწარმოების მიერ ბიზნეს-გეგმების დაგვიანებით წარდგენა და ვადის დაცვით წარდგენილი ბიზნეს-გეგმების სააგენტოს მიერ გვიან დამტკიცება.[3]

ბიზნეს-გეგმების საერთოდ დაუმტკიცებლობის და/ან დიდი დაგვიანებით დამტკიცების პირობებში საწარმოების მიერ საქმიანობა წარმოებდა პარტნიორთან (სააგენტოსთან) შეუთანხმებლად. შესაბამისად საერთოდ არ იყო განსაზღვრული და/ან დაგვიანებით ისაზღვრებოდა წლის განმავლობაში მისაღები მთლიანი შემოსავლის და კონკრეტული სახის ხარჯების ოდენობები.

სააგენტოს მიერ ბიზნეს-გეგმების დამტკიცება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ფორმალურად – შესაბამისი განხილვისა და ანალიზის გარეშე და ასეთი პროექტები სააგენტოს მიერ დამტკიცებულია ყოველგვარი შენიშვნების გარეშე. მაგალითად:

- შ.პს. „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭო"-ს 2008 წლის ბიზნეს –გეგმით ხელფასებზე დაგეგმილი ჰქონდა 68.5 ათასი ლარის ხარჯი, მაშინ როცა დამტკიცების მომენტისათვის შპს-ს 6 თანამშრომლის სახელფასო ფონდი შეადგენდა მხოლოდ 34.4 ათას ლარს;

- შპს „ავტობაზის" 2008 წლის ბიზნეს-გეგმის მიხედვით, საწარმოს ხელმძღვანელობას დაგეგმილი ჰქონდა ამ წლის წმინდა მოგებიდან ავტომომსახურეობისათვის (ავტორემონტი და ავტოსამრეცხაო) საჭირო თანამედროვე აპარატურის შეძენა მაშინ, როცა ამ ბიზნეს-გეგმის მიხედვით სავარაუდო წმინდა მოგება საწარმოს დაგეგმილი ჰქონდა 800 ლარის

---

[2] არ არის შესრულებული სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის N1-3/114 ბრძანების მე-8 პუნქტის მოთხოვნები.

[3] არ არის შესრულებული სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის N1-3/114 ბრძანების დანართის პირველი და მე-11 პუნქტების მოთხოვნები.

ოდენობით. ასევე, ამავე საწარმოს 2008 და 2009 წლების ბიზნეს-გეგმებში მითითებულია, რომ შპს-ს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ავტომანქანების რეცხვა, პარკირება და ივჯარა. საქმიანობის ასეთი სახეობების დროს გაუგებარია შპს-ში დასაქმებული ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქცია/დატვირთვა – ერთდროულად დირექტორის ორი მოადგილის, ტექნიკური მენეჯერის, ერთდროულად მთავარი ბუღალტრისა და ბუღალტრის და მრჩეველის (არ არის მითითებული რა „დარგში"). ასეთივე მდგომარეობაა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში", შპს „ვეტბიოფარმში", შპს „სასწავლო ცენტრსა" და შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმოში" – მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფართების ივჯარით გაცემა.

რიგ შემთხვევებში სააგენტოს მიერ არ არის დადგენილი საწარმოთა საწესდებო კაპიტალის რეალური ოდენობა და შემადგენლობა. წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმებსა და სხვადასხვა დოკუმენტებში დაფიქსირებული საწარმოების საწესდებო კაპიტალის მონაცემები არ შეესაბამებიან ერთმანეთს. კერძოდ:

- შპს „ალექსანდრა"-ს საწყისი გასაყიდი ფასის დადგენის ფორმებიდან საწესდებო კაპიტალი დადგენილია 28.2 ათასი ლარის ოდენობით, სასამართლოს დადგენილებით და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების პროექტში საწესდებო კაპიტალი შეადგენს 81.1 ათას ლარს, 2009 წლის ბიზნეს-გეგმის მიხედვით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 61.0 ათას ლარს, ხოლო 2008 წლის ბალანსის მიხედვით საწესდებო კაპიტალი წლის დასაწყისში არის 60.6 ათასი ლარი და წლის ბოლოს – 60.2 ათასი ლარი. ანალოგიური შეუსაბამობებია ბიზნეს-გეგმის საწესდებო კაპიტალის მონაცემებსა და ბალანსის მონაცემებს შორის შპს „მცხეთის ხიდების სამშენებლო სარემონტო სამმართველოში" (არაპირდაპირი დაქვემდებარების). აუდიტის მსვლელობისას ვერ იქნა წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალის შესახებ (შემადგენლობა) ზუსტი ინფორმაცია შემდეგ საწარმოებზე: შპს „ბიოტექი", შპს „გორის სამედიცინო პრეპარატები" (არაპირდაპირი დაქვემდებარების) და სს „საქაგრობიომრეწვი". სააგენტოს ბრძანებებით არასწორად იქნა განსაზღვრული შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა" და შპს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭოს" საწესდებო კაპიტალი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწესდებო კაპიტალის განსაზღვრისას აუდიტორები წარმოდგენილ დასკვნებში მთლიანი ქონების ღირებულებას არამართებულად აკლებენ კრედიტორულ დავალიანებას (ეს წესი „საპრივატიზაციო ქონების (ობიექტების) შეფასების

აქტების ტიპიური ფორმების (დანართი 1-9) დამტკიცების შესახებ" საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 11.03.1998 წლის N1-3/185 ბრძანების შესაბამისად მოქმედებს ქონების საწყისი გასაყიდი ფასის განსაზღვრისას), რის გამოც საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონების ღირებულება განსაზღვრულია არასწორად. მაგალითად, შპს „გეო – 2007"-ის მთლიანი საწესდებო კაპიტალი აუდიტორის მიერ დაფიქსირებულია 201.6 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც კაპიტალში ჩადებული მიწა მის მიერვე შეფასებულია 369.0 ათას ლარად. ამ აშკარა უზუსტობის მიუხედავად სააგენტოს გამოცემულ ბრძანებაში (15.06.2007 წ. N1-3/434) საწესდებო კაპიტალი დადგენილია 201.6 ათასი ლარის ოდენობით. ანალოგიურად არის განსაზღვრული საწესდებო კაპიტალი შემდეგ საწარმოებში: შპს „ელექტროსამონტაჟო მატარებელი N1", შპს „პრიზმა", შპს „საქსაშენგეოლოგი", შპს „წყალმშენი" და შპს „ვეტბიოფარმი".

აუდიტის პროცესში შედარებული იქნა რიგი საწარმოების დამტკიცებული ბიზნეს-გეგმებისა და შესაბამისი ფაქტობრივი შესრულების მონაცემები. გაირკვა, რომ თითქმის ყველა მათგანის ბიზნეს-გეგმით განსაზღვრული შემოსავლების, ხარჯებისა და მოგების მონაცემები საკმაოდ განსხვავებულია იმავე წლის ფაქტობრივი შესრულების მონაცემებისაგან – როგორც მთლიანი, ისე კონკრეტული სახეობის ხარჯები ფაქტობრივად გაწეულია მეტი ოდენობით, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო ბიზნეს-გეგმის პარამეტრებით. (საილუსტრაციოდ იხ. ცხრილი). უნდა ითქვას, რომ არცერთ ამ შემთხვევაში არ მომხდარა ბიზნეს-გეგმის კორექტირება. სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ამ სხვაობების გამომწვევი მიზეზების ანალიზი[4].

ინფორმაცია ბიზნეს-გეგმების შესრულების შესახებ

N	საწარმოს დასახელება	2008 წელი		2009 წ. 9 თვე		შენიშვნა
		გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი	
1	2	3	4	5	6	7
1	შპს "საქსაშენგეოლოგი					
	შემოსავალი	50,000	80,000	60,000	520,476	
	ხარჯი	47,506	77,080	57,810	512,912	
	მოგება	2,494	2,920	2,190	7,564	
2	შპს "ანალიზელსაწყო"					
	შემოსავალი	183,000.00	152,000.00	129,025.50	264,397.90	
	ხარჯი	178,000.00	149,000.00	123,775.50	261,495.00	

[4] არ არის შესრულებული სააგენტოს N1-3/114 ბრძანების მე-8 პუნქტის მოთხოვნები.

	მოგება	5,000.00	3,000.00	5,250.00	2,902.90	
3	შპს "გორის სამედიცინო პრეპარატები"					
	შემოსავალი	159,000.00	173,285.00	154,461.00	176,644.75	
	ხარჯი	206,700.00	247,145.00	188,120.00	197,966.92	
	მოგება	-47,700.00	-73,860.00	-33,659.00	-21,322.17	
4	შპს "გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა"					
	შემოსავალი	1,191,000	1,212,800	700,000	592,800	
	ხარჯი	1,154,300	1,204,600	674,000	577,300	
	მოგება	36,700	8,200	26,000	15,500	
5	შპს "მცხეთის ხიდების სამშენებლო-სარემონტო სამმართველო"					
	შემოსავალი		249,495	187,000	51,345	არ იქნა წარმოდგენილი 2008 წლის გეგმის მონაცემები
	ხარჯი		244,997	173,500	76,665	
	მოგება	0	4,498	13,500	-25,320	
6	შპს "საქწყალმშენი"					
	შემოსავალი	250,000	64,946	360,000	24,181	
	ხარჯი	250,000	80,590	300,618	47,230	
	მოგება	0	-15,644	59,382	-23,049	
7	შპს "ბიოტექი"					
	შემოსავალი	66,000	56,236	50,850	25,568	
	ხარჯი	64,500	63,774	44,645	25,674	
1	2	3	4	5	6	7
	მოგება	1,500	-7,538	6,205	-106	
8	შპს "წყალმშენი"					
	შემოსავალი	30,500	25,503	28,250	13,440	
	ხარჯი	27,000	25,097	27,720	18,185	
	მოგება	3,500	406	530	-4,745	
9	შპს "პრიზმა"					
	შემოსავალი	16,000	25,500	19,540	49,042	
	ხარჯი	13,307	20,300	13,061	39,231.38	წარმოადგინილი იქნა 10 თვის შესრულება
	მოგება	2,693	5,200	6,479	9,810.62	
10	შპს "საქმედტექნიკა"					
	შემოსავალი	21,400	21,430	7,200	9,876	
	ხარჯი	17,560	20,896	7,233	8,720	
	მოგება	3,840	534	-33	1,156	
11	შპს "პროგრესი XXI"					
	შემოსავალი	40,000	17,861	30,000	12,039	
	ხარჯი	38,000	19,992	28,498	19,117	
	მოგება/ზარალი	2,000	-2,131	1,502	-7,078	
12	შპს "ქ.თბილისის მეყვავილეობის საწარმოო-სავაჭრო მეურნეობა "ალექსანდრა"					
	შემოსავალი	7,900	4,910	6,520		
	ხარჯი	7,425	4,585	6,089		
	მოგება	475	325	431	0	
13	შპს "საქაბრეშუმი"					
	შემოსავალი	420,000	569			სხვა მონაცემები არ იქნა წარმოადგინილი

	ხარჯი	335,000	160,572			
	მოგება	85,000	-160,003			
14	შპს "კავკასიის დიდი ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია - ოფიციალურ გამოცემათა სამსახური"					
	შემოსავალი	483,690.24	400	362,767.68		
	ხარჯი	483,024.92	75,403.60	362,268.69	27,662.00	
	მოგება	665.32	-75,003.60	498.99	-27,662.00	

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, საწარმოების მიერ ბიზნეს-გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალური ინფორმაციები, როგორც ამას ითვალისწინებს სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის N1-3/114 ბრძანების დანართი, სააგენტოში მასიურად არ არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ბრძანება, ბრძანების ტექსტიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ დაგზავნილი უნდა ყოფილიყო საწარმოებისათვის, რაც არ განხორციელებულა – სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საწარმოებს 2006-2009 წლებში სააგენტოდან მიღებული აქვთ წერილები მხოლოდ ამ ბრძანების რეკვიზიტების მითითებით და წლიური ბიზნეს-გეგმისა და წინა წლის წლიური ანგარიშის წარდგენის მოთხოვნით.

სააგენტოს 2009 წლის 27 მაისის N1-3/238 ბრძანებით დამტკიცებულია „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების დირექტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმები", თუმცა 2009 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით არცერთ საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა. აღნიშნული ხელშეკრულებებით ვალდებულებითი და სამართლებლივი ურთიერთობები უნდა დარეგულირებულიყო ერთის მხრივ საწარმოებსა და დირექტორს და მეორეს მხრივ სააგენტოსა (როგორც აქციონერთან და პარტნიორთან) და დირექტორს შორის. ხელშეკრულების ფორმებში გათვალისწინებულია დირექტორის ვალდებულებები, უფლებები, სამსახურებრივ ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სააგენტოს მიერ საწარმოთა ბიზნეს-გეგმების დამტკიცება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ფორმალურად და მათ შესრულებაზე მონიტორინგი სათანადოდ არ ხორციელდებოდა.

2.2. რეკომენდაციები:

1. საწარმოების მიერ ბიზნეს-გეგმების პროექტების სააგენტოში წარდგენისა და დამტკიცების, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების ვადებში წარდგენის მოწესრიგების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყოს მისი მართვის ქვეშ მყოფი საწარმოებისათვის სააგენტოს 2006 წლის 27 თებერვლის N1-3/114 ბრძანების დაგზავნა, როგორც ამას ითვალისწინებს ბრძანების ტექსტი.

2. სააგენტომ, საწარმოების მიერ ბიზნეს-გეგმების რეალური პარამეტრებით შედგენისა და ამ გეგმების მაქსიმალურად შესრულების მიზნით, 2009 წლის 27 მაისის N1-3/238 ბრძანებაში გაითვალისწინოს საწარმოს დირექტორის მიერ სააგენტოში წარდგენილი ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პარამეტრების მაქსიმალურად შესრულების პირობა და სუბიექტური გარემოებების გამო მათ შეუსრულებლობაზე დირექტორის შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამასთან, საწარმოთა დირექტორებთან გააფორმოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ხელშეკრულებები.

3. შერჩევით შესწავლილი იქნას სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონზომიერება შემდეგზე:

ა) საწარმოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება და საწარმოებში ინვესტიციების დაბანდება;

ბ) საწარმოების მიერ ფილიალების დაფუძნება-ლიკვიდაცია;

გ) საწარმოების მიერ აქციებისა და წილების (პაის) შესყიდვა, საწარმოთა წილობრივი მონაწილეობით კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნა;

დ) საწარმოების წმინდა მოგების განაწილება;

ე) საწარმოების გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა, ლიკვიდაცია და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე წინადადებების განხილვა;

ვ) საწარმოების ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა, ჩამოწერა, რეალიზაცია, გირაოთი, იპოთეკით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმებით დატვირთვა

3.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

ამ საკითხის შესწავლის მიზნით, იმ საწარმოებიდან, რომელთაც 2008 წელი დაამთავრეს მოგებითა და ზარალით, შერჩეული იქნა შემდეგი საწარმოები - სს-ები:

„საქაგრობიომრეწვი“, „საქწყალმშენი“, „პროგრესი XXI“ და „საქაბრეშუმი“; შპს-ები: „სპეცტრანსი“, „ავტობაზა“, „საქსაშენგეოლოგი“, „საქსპეცტრანსი“, „ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“, „ანალიზხელსაწყო“, „გორის სამედიცინო პრეპარეტები“, „საქაერონავიგაცია“, „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“, „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა“, „მცხეთის ხიდების სამშენებლო-სარემონტო სამმართველო“, „გეო-2007“, „ბიოტექი“, „ვეტბიოფარმი“, „ავტოსატრანსპორტო საწარმო“, „წყალმშენი“, „სასწავლო ცენტრი“, „პრიზმა“, „საქმედტექნიკა“, „საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“, „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭო“, „თბილისის ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო“, „ელექტროსამონტაჟო მატარებელი N1“, „ა.დ.პ. 2006 ნიადაგის და სურსათის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი“, „ალექსანდრა“ და „კავკასიის დიდი ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია-ოფიციალურ გამოცემათა სამსახური“. სააგენტოს ფინანსური ანალიზის, დარგობრივი ეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურისა და სალიკვიდაციო და გაკოტრების ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

ა) საწარმოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღება და საწარმოებში ინვესტიციების დაბანდება

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ზემოხსენებულ საწარმოებში ინვესტიციების დაბანდება არ მომხდარა, ხოლო სესხები და კრედიტები მიღებული აქვს მხოლოდ შპს „საქაერონავიგაციას“ (საკითხი შესწავლილი იქნება შპს „საქაერონავიგაციაში“ საქართველოს კონტროლის პალატის მიმდინარე აუდიტის ფარგლებში).

ბ) საწარმოების მიერ ფილიალების დაფუძნება-ლიკვიდაცია

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ზემოხსენებული საწარმოების მიერ ფილიალებისა და შვილობილი საწარმოების დაფუძნება-ლიკვიდაცია არ განხორციელებულა.

გ) საწარმოების მიერ აქციებისა და წილების (პაის) შესყიდვა, საწარმოთა წილობრივი მონაწილეობით კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნა

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ზემოხსენებული საწარმოების მიერ აქციებისა და წილების შესყიდვა არ განხორციელებულა, ხოლო საწარმოთა წილობრივი მონაწილეობით კერძო სამართლის იურიდიული პირი შექმნილია ერთ შემთხვევაში – შპს

„მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭოს“ მიერ 100%-იანი წილის ფლობით დაფუძნებული იქნა ახალი შპს „ქართული ფუტკარი“. აღნიშნულზე წარმოდგენილი იქნა სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისი თანხმობები.

დ) საწარმოების წმინდა მოგების განაწილება

სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი საწარმოების წმინდა მოგების განაწილება რეგულირდება საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 13 ივნისის N262 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში წმინდა მოგების განაწილებისას სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ბიუჯეტში ამოღებისა და განაწილების წესით“.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2008 წლის შედეგებით, 317 მომგებიანი საწარმოდან, 2009 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა მოგების განაწილების შესახებ შეთანხმებები გაფორმებულია მხოლოდ 51 საწარმოზე, შეთანხმებები ხელმოსაწერია 52 საწარმოზე და წინა წლის ზარალი გადაფარა 15-მა საწარმომ. აქედან დივიდენდები სრულად გადაიხადა 45-მა საწარმომ და 6 იხდის გრაფიკის მიხედვით. დანარჩენი 199 წარმოადგენს არაპირდაპირ მართვაში მყოფ საწარმოებს, რომელთა დივიდენდების ჩარიცხვაზე კონტროლი, 2009 წლის პირველი ოქტომბრის N7 შეთანხმების საფუძველზე, ხორციელდება შესაბამისი რეგიონის რწმუნებულების მიერ. ამათგან დივიდენდები უკვე გადახდილი აქვს 97 საწარმოს. 2009 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით სულ ჩარიცხულია 2.5 მლნ. ლარი.

ე) საწარმოების გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა, ლიკვიდაცია და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე წინადადებების განხილვა

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ზემოხსენებული საწარმოების გარდაქმნა არ განხორციელებულა.

შპს „სპეცტრანსს“ შეერწყა შპს „სპეცსერვისი“ და ერთ შემთხვევაში სააგენტოს მიერ საწარმოების შერწყმაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა შესაბამისი ანალიზისა და მიზანშეწონილობის დასაბუთების გარეშე, რამაც ერთ-ერთი საწარმოს ბიზნეს ინტერესების იგნორირება გამოიწვია. სააგენტოს 2008 წლის 6 ოქტომბრის N1-3/457 ბრძანების საფუძველზე ხუთი საზოგადოების - შპს „გზაპროექტის“ (საწ. კაპიტალი 269.6 ათასი

ლარი), შპს „საქწყალკანალპროექტის“ (საწ. კაპიტალი 82.7 ათასი ლარი), შპს „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის“ (საწ. კაპიტალი 2.2 ათასი ლარი), შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ (საწ. კაპიტალი 36.6 ათასი ლარი) და შპს „კულტპროექტის” (საწ. კაპიტალი 2.2 ათასი ლარი) შერწყმით, როგორც მათი უფლებამონაცვლე, შეიქმნა 393.3 ათასი ლარის საწესდებო კაპიტალის მქონე შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა“. აღსანიშნავია, რომ კომპანიის 2008 წლის ბალანსში საწესდებო კაპიტალის საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის სხვაობა შეადგენს 105.8 ათას ლარს (საწყისი – 393.3 ათასი ლარი და საბოლოო – 287.5 ათასი ლარი). შპს-ს მიერ სააგენტოში წარდგენილი ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ საწესდებო კაპიტალი თვითნებურადაა შემცირებული – შპს-ს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანაზე შესაბამისი ლიცენზიის მქონე აუდიტორის მიერ დამოწმებული აუდიტორული დასკვნა და საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან წერილობით შეთანხმებული სააგენტოს გადაწყვეტილება.[5]

სააგენტოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მიმართულ წერილში (14.05.08.-ის N33/75 წერილი) არაფერია ნათქვამი ამ გაერთიანების მიზანშეწონილობაზე (არ არის წარმოდგენილი არანაირი ანალიზი) – ან მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტზე, ან მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე და ა.შ., ასევე, არც სამინისტროს გამოუთქვამს დაინტერესება ამ გაერთიანების მიზანშეწონილობაზე თავის თანხმობაში (07.07.08.-ის N15/474/7-8 წერილი).[6]

2009 წლის 28 იანვარს სააგენტოში შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზიდან“ შემოსულ წერილში აღნიშნულია, რომ შპს „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა“ გაუგებარი მიზეზების გამო გაერთიანდა საწარმოთა მართვის სააგენტოს სხვა შპს-ებთან (საქწყალკანალპროექტი, გზაპროექტი, კულტპროექტი). გაერთიანების პროცესში მხედველობიდან იქნა გამორჩენილი ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ერთ კომპანიაში

---

[5] **არ არის შესრულებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული** საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

[6] არ არის შესრულებული „სსიპ – საწარმოთა მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის N1-1/550 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

საპროექტო და საექსპერტო მომსახურების გაერთიანებისას, კომპანიას საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალება მათ მიერ დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა, რაც მათი მომსახურების არეალის და შესაბამისად შემოსავლების შემცირებას გამოიწვევს.

აღნიშნული წერილი განხილულია სააგენტოს მიერ და მიზანშეწონილადაა მიიჩნეული შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზიდან" შპს „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის" გამოყოფა ამ უკანასკნელის წერილში მითითებული მოტივაციის საფუძველზე. შესაბამისად, შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას" გამოეყო ექსპერტიზის სამსახური და გამოყოფილი ქონების ბაზაზე დაფუძნდა შპს „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა", რომელიც საქმიანობას განახორციელებს დამოუკიდებელი სუბიექტის სახით. შპს „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის" გამოყოფის შემდეგ, სააგენტოს ბრძანება ამ შპს-სა და შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის" საწესდებო კაპიტალში ცვლილების შესახებ წარმოდგენილი ვერ იქნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ხუთი საწარმოდან ერთ-ერთის - შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის" საქმიანობას წარმოადგენს როგორც საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა, ისე საპროექტო სამუშაოები. თუმცა ამ შპს-ს არც დამოუკიდებლად არსებობისას და არც შერწყმის შემდეგ სააგენტოში არ დასმულა საკითხები ზემოაღნიშნული პრობლემატიკის შესახებ.

სააგენტოს სალიკვიდაციო და გაკოტრების ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2008 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი საწარმოებიდან ლიკვიდაციის რეჟიმში იმყოფებოდა 30 საწარმო. აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში დაწყებულია 9 საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი. ამავე პერიოდში სააგენტოს N1-3/241 ბრძანებით შეჩერდა ერთი საწარმოს ლიკვიდაცია, ერთი საწარმოს მიმართ გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება და ლიკვიდირებული იქნა ერთი კომპანია, შედეგად 2009 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ლიკვიდაციის რეჟიმში იმყოფებოდა 36 საწარმო. მათ შორის 13 საწარმოში ლიკვიდაციის რეჟიმი შესულია ბოლო ფაზაში – ჩასატარებელია საკონტროლო საგადასახადო შემოწმება, სამეწარმეო რეესტრში საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ შესაბამისი ცვლილებების შესატანად. მოწოდებული ინფორმაციით გაკოტრების რეჟიმში ამჟამად სავარაუდოდ იმყოფება 35 საწარმო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო არ ფლობს ზუსტ და სრულყოფილ ინფორმაციას სასამართლოების მიერ გაკოტრების საქმეზე გამოტანილი

განჩინებების შესახებ.

ვ) საწარმოების ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა, ჩამოწერა, რეალიზაცია, გირაოთი, იპოთეკით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმებით დატვირთვა

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში, შერჩევით შესწავლილი საწარმოებიდან, ივჯარით ქონება გაცემული ჰქონდათ შემდეგ შპს-ებს: „ბიოტექი", „წყალმშენი", „გეო–2007", „გორის სამედიცინო პრეპარატები", „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა", „ანალიზხელსაწყო", „პროგრესი XXI", „პრიზმა", „ავტობაზა", „საქსპეცტრანსი", „თბილისის ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო", „ვეტბიოფარმი", „ა.დ.პ. 2006 ნიადაგის და სურსათის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი", „სასწავლო ცენტრი", „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭო", „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა" და „ავტოსატრანსპორტო საწარმო".

სააგენტოს თანხმობის გარეშე საიჯარო ფართები გაცემულია: შპს „ანალიზხელსაწყოს", შპს „პროგრესი XXI-ს", შპს „თბილისის ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს" (ამჟამად ეს ობიექტი არის პრივატიზების რეჟიმში, ივჯარა გაუქმებულია 2008 წლის 1 სექტემბრიდან), შპს „პრიზმას", შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმოს", შპს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭოს" და შპს „ვეტბიოფარმის" მიერ.[7]

მაგალითად:

- შპს „პრიზმა"-ს 2007 წლის 18 სექტემბერს სააგენტოსგან მიღებული აქვს თანხმობა ფართების ივჯარით გაცემაზე 2 წლის ვადით, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციით (რომელიც სააგენტოში შემოსულია 2007 წლის 5 დეკემბერს) აუქციონი არ არის ჩატარებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის N1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის

[7]არ არის შესრულებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და „სსიპ – საწარმოთა მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის N1-1/550 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ.კ" ქვეპუნქტის მოთხოვნები.

ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების მოთხოვნების დაცვით.[8] კერძოდ, 2007 წლის 10 ოქტომბრის აუქციონის ოქმში არ არის დაფიქსირებული საწყისი ფასის ბიჯი (რომლითაც შესაძლებელია გაზრდილიყო საწყისი ფასი) და ოქმზე არ არის აუქციონში გამარჯვებულის ხელმოწერები, რის გამოც ვერ დგინდება აუქციონის ჩატარების რეალობა.[9]

2007 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებულია ოთხი ხელშეკრულება, რომელთა ხანგრძლივობა იყო 2009 წლის პირველ ნოემბრამდე. ამას გარდა, 2009 წლის პირველ აპრილს და პირველ აგვისტოს შპს-ს მიერ გაფორმებულია ოთხი ახალი ხელშეკრულება (ორი ძველ და ორი ახალ დამქირავებელთან), რომლებზეც სააგენტოს თანხმობა წარმოდგენილი ვერ იქნა.

- შპს „სასწავლო ცენტრის" მიერ ფართები გაცემულია სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწყის საიჯარო ფასთან შედარებით ნაკლები ფასით. აღნიშნულის გამო, ხელშეკრულებებით განსაზღვრული გადასახდელი საიჯარო თანხა 13920 ლარით ნაკლებია სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწყის ფასთან შედარებით. ფართები გაცემულია პირდაპირი იჯარით და არა აუქციონის ან კონკურსის ფორმით.[10]

- შპს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭო"-ს მიერ 2008 წლის განმავლობაში შპს მიერ იჯარით ქონების გაცემის შესახებ ხელშეკრულებები და აუქციონის ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა, თუმცა იჯარით ქონების გაცემას ჰქონდა ადგილი და მიღებული იყო შემოსავალიც - 12.6 ათასი ლარის ოდენობით. 2009 წელს საიჯარო ხელშეკრულებებზე არ ყოფილა გაცემული სააგენტოს თანხმობა.

---

[8] არ არის შესრულებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მოთხოვნები.

[9] არ არის შესრულებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის N1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები.

[10] არ არის შესრულებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების" მე-5 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის მოთხოვნა.

აუქციონის ფორმით და ა.შ. ყველა მათგანზე წარმოდგენილი იქნა სააგენტოს შესაბამისი თანხმობები.

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში ზემოხსენებული საწარმოების მიერ ქონების გირაოთი, იპოთეკით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმებით დატვირთვა არ მომხდარა.

რეკომენდაცია:

სააგენტომ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოთა შემდგომი ფუნქციონირების ან სახელმწიფოს მართვაში შენარჩუნების მიზანშეწონილების

საკითხზე სისტემატურად იმსჯელოს და შესაბამისი წინადადებებით მიმართოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სწორედ ამ ორი უწყების გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ-სტრატეგიული სფეროები და მხოლოდ ამ პროფილის საწარმოები დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენი კი დაექვემდებაროს პრივატიზებას.

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები

ჯგუფის ხელმძღვანელი,
მთავარი აუდიტორი:

თეიმურაზ კილაძე 08.04.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი

მთავარი აუდიტორი:

ავთანდილ ვასაძე 08.04.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი

აუდიტორი:

ქეთევან ზოზიაშვილი 08.04.2010 წ.

ხელმოწერა თარიღი